ხელშეკრულება მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 79
(მომსახურების გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **18 დეკემბერი, 2017 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი - აღმასრულებელი დირექტორის ნინო ჭელიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო" დირექტორის გიორგი ხვედელიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის „HYUNDAI ELENTRA" სახ ნომ II021NN საჭიროებისათვის ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების ხარჯი (CPV50100000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღრებულება შეადგენს1305 (ერთი ათას სამასხუთი) ლარს:

N	ნაწილების და მომსახურებსი დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	საქონლის ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)	მომსახურების ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ძრავის ზეთი	4	ლიტრი	25	100		100
2	ზეტის ფილტრი	1	ცალი	20	20		20
3	ჰაერის ჰილტრი	1	ცალი	40	40		40
4	საწვავის ფილტრი	1	ცალი	100	100		100
5	წინა ხუნდები	1	კომპ	230	230		230
6	უკანა ხუნდები	1	კომპ	170	170		170
7	სანთელი	4	ცალი	20	80		80
9	შარავოი	2	ცალი	170	170		170
10	დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	2	ცალი	50	100		100
11	ზეთის შეცვლა	1				15	15
12	სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	2				30	30
13	შარავოის შეცვლა	2				50	50
14	განშლის მილის შეცვლა	2				60	60
15	სანთლების შეცვლა	4				20	20
16	საწვავის ფილტრის შესცვლა	1				50	50
17	დროსელის გაწმენდა	1				30	30
18	რაზვალი	1				40	40
	ჯამი						1305

2.2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

3.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

3.2. მომსახურების გაწევის ვადა: არაუგვიანეს 2017 წლის 22 დეკემბრისა.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარება

4.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.2. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების აღიარება (ცნობა) მოხდება კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ, ორივე მხარისაგან ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტისა და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
5.3. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ერთ ეტაპად. 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" უფლებამოსილია:

6.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
6.1.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;
6.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

6.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.
6.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
6.4.1. უზრუნველყოს ახალი (ორიგინალი)ნაწილების დაყენება;
6.4.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით;
6.4.3. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;
8.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
9.1. მხარეთა შეთანხმება;
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
9.3. ერთი მხარის მიერ 10 (დღის) განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
9.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
10.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის
14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტული გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირების პირობები)

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო ყურაშვილი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს

14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება "მიმწოდებელს", ხოლო ერთი ინახება "შემსყიდველ ორგანიზაციაში".

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი ორგანიზაცია"

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი
ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 7
სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 205319350

აღმასრულებელი დირექტორი

/ნინო ჭელიძე/

„მიმწოდებელი"

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE15TB1100000110464697
ს/კ 204478948
დირექტორი

/ალექსანდრე ხვედელიძე/